#

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ზაალ მამალაძეს
მუნიციპლიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“- საქართველოს კანონის საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა დადგენილებების პროექტები:

1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ;
2. სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ;
3. ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ;
4. ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ;
5. ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ”, რომელიც აწესრიგებს

#

საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურას, ადგენს მათი დაფუძნების, საქმიანობისა და ანგარიშვალდებულების წესს, აგრეთვე მათი ავტორიზაციის სავალდებულოობას.

კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების პროექტები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების სისტემის ძირითადი პრინციპები, მიზნები და პროცედურები, რომლითაც იხელმძღვანელებენ შესაბამისი დაწესებულების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების უფლებამოსილებით აღჭურვილი სუბიექტები. ასევე შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი, პერსონალის სამსახურეობრივი ინსტრუქციები და ეთიკის ნორმები და დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის გამგებელი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფორის თეა უჯმაჯურიძე.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: ირაკლი კუჭავა